პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 1 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

# წითელი არმიელი

?8 (996)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ენგუელოვის ქუჩა ეღსმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

F329/2 № 13374
921

## 1926 წელი.

?25 წელი წარსულს ჩაბარ-
...
?ვდივართ ახალ 1926
?მი.
?ბჭოთა ქვეყნის ისტორია-
1925 წელი აღინიშნება,
?რც დიდი მიღწევების და
?ჯვებების წელი მუშურ-
?ური სახელმწიფოს მუშაო-
?ველა დარგში.
?ზარდა მრეწველობა. აღო-
?ოთა სოფლის მეურნეობა.
?უმჯობესდა მშრომელთა ქო-
?ივი მდგომარეობა, განმტ-
?ა მუშების და გლეხების
?რი.
?ყარე ფული. მტკიცე სა-
?წიფო შემოსავალ-გასავა-
კარგი მოსავალი. საბჭო-
?ახელმწიფოს ავტორიტე-
?რაჩვეულებრივი ზრდა და-
?ის პროლეტარულ მა-
?და ალმოსავლეთის დაჩაგ-
?რებში. აი ყოველივე ის,
?გვიტანა ჩვენ 1925 წე-
?მტკიცებული, გაძლიერე-
?, შემოქმედებითი აღმ-
?ობის წყურვილით შეპ-
?ლი—აი რით გადადიან
?ა კავშირის მუშები და
?აი ახალ წელში.
? გაძლიერდით. დიდათ
?ეთ წინ, მაგრამ გაიზარ-
?იძნელეებიც. ბევრი გა-
?ეთ, მაგრამ გაცილებით
?ბევრია გასაკეთებელი.
?ლისტური ქვეყანა, რო-
? გარს გვარტყია კბილე-
?ჭს სიბრაზისაგან. მას მო-
?ს არ აძლევს ჩვენი ზრ-
სიმტკიცე. იმპერიალის-
ისევ განაგრძობენ ჩვენს
?მდეგ ბრძოლას.
?ნი ყოველმხრივ სცდი-
?ენ ხელი შეგვიშალონ წინ-
სვლაში, დაგვაბრკოლონ, დაგ-
ვასუსტონ. დახავსებული კაპი-
ტალიზმი, რომელიც რაც დრო
მიდის მით უფრო და უფრო
სწრაფად მიექანება დაღუპვი-
საკენ, ფიქრობს ჩვენი დასამა-
რებით გადაირჩინოს თავი.

მას გვერდში უდგია მოღა-
ლატე მეორე ინტერნაციონა-
ლი, მთელი მსოფლიო მენშე-
ვიზმი.

ამიტომაც ჩვენი პარტიის, სა-
ბჭოთა ხელისუფლების და ყვე-
ლა მუშების და გლეხების ძი-
რითადი ამოცანაა ახალ წელ-
ში ერთი ორად გააძლიერონ
თავისი მუშაობა სოციალის-
ტური აღმშენებლობის დარგ-
ში. მტრების კბილების ღრჭე-
ნას და მათ გველურ სისინს
უპასუხონ თავისი რიგების მე-
ტი შემჭიდროებით და თავდა-
დებული შრომით.

წითელმა არმიამ კი უფრო
მეტად უნდა გაასალკლდევოს თა-
ვისი რიგები, მუდმივად გამა-
ლებით ემზადება ომისათვის.
მისი პირველი შეტევის საგანი
იქნება ჩვენი საზღვრები. ჩვენ
მზად უნდა ვიყვეთ მისთვის
ღირსეული პასუხის გასაცემად.
ერთი-ორად უნდა გააძლიეროს
წითელარმიელმა თავის სამხედ-
რო სწავლება. მან ერთ წუთს
არ უნდა დაივიწყოს თავისი
დიდი ვალდებულება—მშრომე-
ლთა მონაპოვართა ღირსეულად
დაცვა. მთელი თავისი შეგნე-
ბით და ენერგიული სწავლით
ის უნდა ამაგრებდეს წითელი
არმიის რიგებს და ძლიერებას.

აი წითელარმიელის ძირითა-
დი მუშაობა ახალ 1926 წელში.

გაუმარჯოს ამ მუშაობას!

## ახალი წელი.

?ირფასო წითელ-არმიელო!
?ა მოგილოცო დასაწყისი
?ის
1926 წლის.
?ვიდა ძველი წელი,
?ბარდა იგი საუკუნეთა უფ-
?ლს.
?ეს უკვე 1926 წლის
?რველი იანვარია.
?ველი ახალი წელი ჩვენი
?ია,
?იმია ჩვენი გამარჯვების,
?ენი სიძლიერის.
? განვლეთ 1925 წელი,
? წელშიაც გამოვედით
?მარჯვებულნი,
?ყნი;
?უმც გარშემო სისინებდნენ
?ნი ... ლამობდნენ
?ნ განა...ურებას.
...
... ეცადნენ,
...ჯერ გამოიშვირეს
?ძური ხელი წითელი
დროშის ჩამოსახევად,

მაგრამ მუშის ჩაქუჩი,
გლეხის ნამგალი
და
წითელ არმიელის ხიშტი
მედგრათ იცავდნენ მის
ამაყ ფრიალს.
აი,
დადგა 1926 წელი.
ყველა ქვეყნის, ყველა ერის
მუქთა-ხორები,
მაძღარნი მუშის ოფლით
კბილებს აკრაჭუნებენ,
მუქარას გვითვლიან,
უსუსურად გვემუქრებიან.
ყოველი ახალი წელი
მათთვის სიკვდილია,
ყოველი ახალი წლის დასა-
წყისით ისინი უახლოვდებიან
სამარეს,
რომელიც დიდი-ხანია
მიელოდება მათ.

ჩვენთვის კი
ახალი წელი
ახალი გიგანტიური ნაბიჯია
სოციალიზმისკენ.
ისევ მედგრათ,
ისევე ამაყათ,
ჩვენ გავწევთ
წინ!
წელი წელს გაჰყვება,
საუკუნე საუკუნეს,
მაგრამ შრომის ჰიმნი
უკვდავ იქნება.
მაშ, გაგიმარჯოს
ძვირფასო წითელ-არმიელო!
მაგრათ გეჭიროს ხელში
შაშხანა
და რევოლიუციის წითელი
დროშა.

ე. ხუციშვილი.

## გერმანიის სოციალ-დემოკრატები ხელს უშლიან პროფმოძრაობის მთლიანობას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატები განაგრძობენ თავის კამპანიას და სცდილობენ ხელი შეუშალონ ინგლის-საბჭოთა კომიტეტს პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელების საქმეში.

## სოფიის სახრჩობელებზე.

### ველევის სიკვდილით დასჯა.

სოფიაში სახალხოთ დასჯილ იქნა გლეხთა პარტიის წევრი ტრიჩკო ველევი პოლიციის პოლკოვნიკ ჩუპარინოვის მოკვლისთვის. მკვლელობა მოხდა შემდეგნაირად: ველევი სცდილობდა ბულგარეთის საზღვარზე გადასვლას, მაგრამ მას მიუსწრო პოლიციის რაზმმა ჩუპარინოვის მეთაურობით. ველევსა და პოლიციას შორის ატყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ჩუპარინოვი.

## მუსოლინისა და ჩემბერლენის შეხვედრა.

სტეფანის სააგენტო იტყობინება, რომ რაპალოში ინახულეს ერთმანეთი მუსოლინიმ და ჩემბერლენმა.

## საბჭოთა კავშირში

### სოფლის ღარიბ გლეხობის კრებები.

ვიტებსკის ოლქის ოთხ რაიონში საგანგებოდ იქნა მოწვეული ღარიბ გლეხობის კრება პარტიის სოფლის უჯრედების მიერ. კრებებმა ყველგან დიდძალი გლეხობა მიიზიდა. გლეხობა გაეცნეს პარტიის ღონისძიებებს სოფლის ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

საშუალო შეძლების გლეხობის შესახებ საკითხის გარჩევის დროს ღარიბ გლეხობამ ყველგან გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის იწონებს პარტიის ხაზს.

## ესტონეთის ახალი რწმუნებული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში ჩამოვიდა თანამდებობის ასასრულებლად ესტონეთის რწმუნებული საბჭოთა კავშირში აბირგი.

## პენსიების ახალი ნორმები.

სოციალურ დაზღვევის საკავშირო საბჭოში ირჩევა საკითხი პენსიის ნორმების დაწესების შესახებ შრომის ინვალიდთა და გარდაცვლილ დაზღვეულთა ოჯახებისთვის. პირველი ჯგუფის შრომის ინვალიდთათვის დაწესებული იქნება თვიური ხელფასის ორი მესამედი (სრული პენსია), მეორე ჯგუფისთვის—სრული პენსიის ორი მესამედი და მესამე ჯგუფისთვის სრული პენსიის ნახევარი. პენსიების ახალი ნორმების შემოღება განზრახულია 1926 წლის 1-ლ იანვრიდან.

## პროფკავშირთა გამოფენა.

ახლო დღეებში მოსკოვში, შრომის სასახლეში 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავთან დაკავშირებით იხსნება პროფკავშირთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება ყველა პროფკავშირთა ნიმუშები, რომლებიც გამოხატავენ პროფკავშირთა მუშაობის ისტორიას რუსეთის პირველი რევოლიუციის პერიოდში.

## მენშევიკური ნაძირალების ახალი „საქმენი საგმირონი".

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ცნობები „საქართველოს დემოკრატიული მთავრობის" ახალი გმირობის შესახებ პარიზში. ბატონ ჟორდანია-რამიშვილი-ჩხენკელი პირდაპირ ზღაპრულ ნიჭს იჩენენ გახრწნასა და გათახსირებაში. მათ დაიჭირეს კავშირი პარიზის საიდუმლო პოლიციასთან და გაუგონარ საშუალებებს მიმართავენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ სტოვებს. პარიზის გმირები, ვინც მათ არ უჯერებს—იმათ სულით ავადმყოფებად აცხადებენ და ახერხებენ მათ დამწყვდევას სულით ავადმყოფთა სახლში.

მაგრამ არც ამ უგვანო საქციელმა მოუტანა რაიმე ნაყოფი გაკოტრებულებს. მათ სტოვებენ ისინიც კი, ვინც სისხლით დაკავშირებული იყო მათთან. წავიდა მათგან ზუგდიდელი ჯანყებული მხეიძე, რომელმაც გადასწყვიტა წარსდგეს საბჭოთა საქართველოს სასამართლოს წინაშე. მენშევიკების კამარილია აალელვა ამან და სცადა ჯერ მუქარით, და შემდეგ „სარდლის ჯამაგირის" შეთავაზებით შეეჩერებია მხეიძე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამან ვერ შეაცდინა. ამიტომ რამიშვილ-ჩხენკელის ხროვამ მიმართა პარიზის პოლიციას, სხვათა შორის ამ მიმართვის შემდეგ იყო გრიგოლ ვეშაპელის დატუსაღება. მხოლოდ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩარევით გაანთავისუფლეს ის, მაგრამ იმ პირობით, რომ დასტოვოს საფრანგეთის საზღვრები. მხეიძე კი, რომლის დაპატიმრება ვერ მოასწრეს, იმავე ცნობებით, უკვე გამოემგზავრა საბჭოთა საქართველოში.

## აფხაზეთში.

### სამასწავლებლო კურსები.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატი 1-ლ იანვრიდან სოხუმში ხსნის ორწლიან კურსებს აფხაზეთის სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

## აჭარისტანში

### მეთამბაქოეთა ყრილობა

ქედაში შესდგა მეთამბაქოეთა ყრილობა აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გამომუშავებულ იქნა ზომები მეთამბაქოობის გასაუმჯობესებლად და თამბაქოს მოედანის გასაფართოებლად.

ორშაბათს, 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი) მოწვეულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ;
2. მოხსენება მთლიან მუშათა კოოპერატივის შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

იყო ავადმყოფური მოვლენები პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიებში, მაგრამ დღეს მათ უკვე აღარ აქვთ ადგილი.

საერთოდ დასავლეთის ყველა კომპარტიებში ვითარდება „მარცხენა“ მიმართულებანი (ყალბი რევოლიუციონური).

**ბრძოლების წინ**

დღეს იწყება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაძლიერება. რასაკვირველია, ეს კიდევ არაა პირდაპირი რევოლიუციონური ტალღა, მაგრამ გაძლიერებას უსათუოდ აქვს ადგილი. ჩვენი კომპარტიები უნდა გაძლიერდენ მუშათა მასებში და არ უნდა შეუშინდენ იმ გარემოებაში თავის ძირითადი ხაზის დაკარგვას.

მუშათა დელეგაციებმა, რომლებმაც ინახულეს საბჭოთა კავშირი, დიდი როლი ითამაშეს ჩვენი რევოლიუციის სახელისა და ავტორიტეტის ამაღლებაში. საბჭოთა კავშირი, როგორც 1918 წელში, კვლავ ხდება ის მაგნიტი, რომელიც იზიდავს თავისაკენ მილიონ და ათეულ მილიონ მშრომელთა თანაგრძნობასა და სიყვარულს.

**ჩვენი ამოცანები**

პარტიას უნდა შეეძლოთ ბრძოლა აშკარა და ჭერ ქვეშ, გაფართოებულ უნდა იქნას კავშირი ინგლისის მუშებთან. გაძლიერებულ უნდა იქნას დელეგაციების მოსვლა საბჭოთა კავშირში.

გაღრმავებულ უნდა იქნას რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში.

## ყრილობაზე მოვიდენ სხვადასხვა რაიონების, მათ შორის ლენინგრადის დელეგაციებიც. ისინი მხარს უჭერენ ცეკას და ჰგმობენ ლენინგრადის დელეგაციის გამოსვლებს.

### ყრილობა მიმართავს ლენინგრადის ორგანიზაციას

ამხ. კალინინმა წაიკითხა ყრილობაზე სხვადასხვა გუბერნიების დელეგაციების მიმართვა ლენინგრადის ორგანიზაციისადმი. ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ ლენინგრადის დელეგაცია შემცდარია, როცა ის ცეკას წინააღმდეგ მიდის ყრილობაზე და ამით ის არღვევს პარტიის მთლიანობასა და დისციპლინას.

ყრილობა გამოსთქვამს იმედს, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია გამოასწორებს შეცდომებს და დაიცავს პარტიის მთლიანობას.

მიმართვა მიიღო მთელმა ყრილობამ 36 კაცის გამოკლებით.

**კამათი რკპ-ს დელეგაციის მუშაობის გარშემო კომინტერნში.**

28 დეკემბერს დილის სხდომაზე ზინოვიევის ანგარიშის გარშემო სიტყვით გამოვიდა რამოდენიმე ორატორი. ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ დელეგაცია სუსტად ხელმძღვანელობდა დასავლეთის პარტიებს, რაიც სჩანს იქედან, რომ გერმანიის კომპარტიის სათავეში ისეთი ამხანაგები იდგენ, რომლებმაც შემდეგში წინააღმდეგობა გაუწიეს კომინტერნს, რომ კომინტერნში არ შეიძლება საქმიანი ხელმძღვანელობა როცა მისი თავმჯდომარე ზინოვიევი გამოვიდა ცეკას წინააღმდეგ და რომ ამის გამო ჩვენ პარტიას შიგნით დაწყებული დავა შეიძლება გადავიდეს ბურჟუაზიული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებში.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულ იქნა ჩვენი დელეგაციის მუშაობა.

რეზოლიუციაში მოცემულია რამოდენიმე მითითება, როგორც მაგ. კომუნისტების მიერ პროფკავშირების მიზიდვის აუცილებლობა, წინადადება წარმოებულ იქნას ბრძოლა ლენინურ ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ დასავლეთის პარტიებში და სხვა.

რეზოლიუციაზე ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა 94 დელეგატმა.

**მუშების მისალმებანი**

29 დეკემბერს საღამოს სხდომაზე სხვა და სხვა რაიონების ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან მოსმენილ იქნა მისალმებანი.

სტალინის სახ. მთამადნის მუშებმა უძღვნეს ყრილობას თავიანთი დამზადილი საჩუქარი—ლამპა და წერაქვი.

## პროფკავშირთა მუშაობის შესახებ

### ამხ. ტომსკის მოხსენება.

**პროფკავშირთა ამოცანები**

ეს ამოცანები—ამბობს ტომსკი—განსაზღვრა ლენინმა პარტიის მე XI ყრილობაზე. მაშინდელ რეზოლიუციაში ნათქვამი იყო, რომ პროფკავშირებმაც უნდა დაიცვან მუშების ინტერესები ბიუროკრატიზმისაგან. ამ წელში, სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როცა, მეურნეობათა გამგეების მხრივ ბიუროკრატიზმის გამო, მუშები იძულებული იყვენ მიემართათ გაფიცვებისთვის.



ამხ. ტომსკი.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა ავასრულოთ მე-XI ყრილობის დადგენილებები.

**აღვზარდოთ ახალგაზრდა მუშა.**

ჩვენი პროფკავშირები საგრძნობლად გაიზარდა. იზრდება მუშათა რაოდენობა. სასოფლო-სამეურნეო მუშათა რაოდენობაც საგრძნობლად იზრდება.

(შემდეგი იქნება)

# სამხედრო საქმე:

## ქიმიური ჭურვები

აირიან ბალონებით იერიში დამოკიდებულია ამინდზე, უმეტეს შემთხვევაში, ქარზე.

ამას გარდა ეს იერიში ყოველთვის არ იქნება უეცარი და მოულოდნელი მტრისთვის, ვინაიდან აირის კვამლმა რომ მტრის განაკამდი მიაღწიოს, საჭიროა დრო, რომლის განმავლობაში მტერი ადვილად გაიგებს ჩვენს განზრახვებს და თავის დროზე მიიღებს თავდაცვის ზომებს. ამ შემთხვევაში აირების გაშვება ვერ მოიტანს კარგ შედეგებს.

მსოფლიო ომის დროს, ეს ნაკლი რომ თავიდან აეშორებიათ, ხელი მიჰყვეს არტილერიის ისეთი ჭურვების დამზადებას, რომლებშიაც დატანებული იყო შხამიანი ნივთიერებანი.




ქიმიური ჭურვის განაკვეთი სიგრძეზე:
1) ამაფეთქებელი ნივთიერება.
2) მომწამვლელი ნივთიერება.
3) მასრის კედლები.

ასეთ ჭურვებს ეწოდებოდა ქიმიური ჭურვები. ასეთი ჭურვებით სროლა სწარმოებს ჩვეულებრივად, როგორც უბრალო ჭურვებით, ერთი და იმავე ქვემეხიდან. ქიმიური ჭურვა შეიცავს შხამიან ნივთიერებას 10-15 პროცენტამდე ჭურვის საერთო წონასთან შეფარდებით. აფეთქების დროს ქიმიური ჭურვა მუსრავს არა მარტო ნამტვრევებით, არამედ ის სწამლავს ჰაერსაც. უ... ქიმიური ჭურვები სქდება ... წაზე დაცემისაგან; ქიმიური ჭურვის ხმა გახეთქას დროს უფრო სუსტია, ვიდრე ჩვეულებრივი ჭურვების. ამის გამო შედარებით ადვილი გასაგებია თუ როგორი ჭურვებით სწარმოებს სროლა.

ქიმიური ჭურვებით სროლა სწარმოებს ყოველნაირ „მიზნებში. ქიმიური ჭურვებით სროლა განსაკუთრებით ხელსაყრელია ხეობებში და საერთოდ ჩაღრმავებულ ადგილებში, ვინაიდან ყველა ამ ადგილებში აირი დიდხანს სძლებს. კარგი შედეგები მოაქვს ასეთ სროლას მოპირდაპირის ბატარეებზე: ამ შემთხვევაში ქვემეხზე მომუშავენი იძულებული ხდებიან გაიკეთონ აირმსპობი, ხოლო აირმსპობით ქვემეხზე მუშაობა ძალიან ასუსტებს მტრის სროლის სიმარჯვეს. ბოლოს, ქიმიურ ჭურვების მოპირდაპირის პოზიციებზე დაშვნას ის უპირატესობა აქვს, რომ აირი ...დის ყოველგვარ საფარში ... სანგრის ყველა კუნჭულში: და თუ რამ სანგრების დამცველები არ ზიანდებიან ტყვიებით და ნამტვრევებისაგან, სამაგიეროდ მათ ანადგურებს აირი.

ქიმიური ჭურვებით სროლა დიდ ხმარებაში იქნება მომავალ ომების დროს. უკვე მსოფლიო ომის ბოლო ხანებში ქიმიური ჭურვები მთელი ჭურვების მარაგის ნახევარს შეადგენდა.

პ.

# 1904-5 წლები.

### პირად მოგონებიდან.

(გაგრძელება)

პირველ მაისის კამპანიისათვის ყველა ორგანიზაციებს მიეცა დირექტივები. გათვალისწინებული იყო თუ რომელი ორგანიზაციის მოწაფეთა რომელი ჯგუფები შეუერთებოდა. გათენდა პირველი მაისიც. ქალაქის ყველა მაღაზიები დაკეტილია, მოძრაობა სრულიად შეწყდა, ქუჩაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ეტლსაც. წინა ღამით ათასობით გავრცელდა საპირველმაისო პროკლამაციები. უფროსი კლასის მოწაფეები აჩქარებით მიდიან დანიშნულ ადგილებზე, რომ შემდეგ დაიძრან დემონსტრაციით დანიშნულ ადგილებზე. ქალაქის მოქალაქეური ნაწილი პანიკამ შეიპყრო, მან არა იცის ხვალინდელი დღე რით ემუქრება მას. მხოლოდ აქ, ქალაქის ქუჩებში, გამოსულია რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელიც ემზადება დემონსტრაციების მოწყობით. მაგრამ არც მთავრობას სძინავს, მან წინასწარ შეუდგა თავდაცვის მზადებას, ფეხზე დააყენა მთელი პოლიცია, ჟანდარმერია და ყველა ყაზახთა და მესანგრე ასეულებიც ქუჩებში ჩააყენა.

ისეთი პირობები შეიქნა, რომ დილის ცხრა საათის შემდეგ ორი კაცი ვერ გაჩერდებოდა ერთად. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს, ახალგაზრდების ჯგუფები მაინც იყრიდენ თავს და მღეროდენ მარსელიოზას, ერთი ჯგუფს რომ დაშლიდენ, მეორე კუთხეში შეჯგუფდებოდენ აგერ, უცებ შიგნით ბაღში შეიქნა გიმნაზიელთა დემონსტრაცია, რომელშიაც დაახლოვებით სამას კაცამდი იქნებოდა. ყაზახთა ესკადრონმა მთელ ბაღს ალყა შემოარტყა და შეიჭრენ შიგ, მაგრამ დემონსტრანტები მაინც არ შედრკენ, განაგრძობდენ მარსელიოზის სიმღერას და, როდესაც ყაზახების ნაწილი მოუახლოვდა დემონსტრანტებს იმათმა მიაწვენ ბაღის რკინის ღობეს, გაგლიჯეს ის და გამოვიდენ გადმოღმა და გაიბნენ სხვა და სხვა მიმართულებით.



მუშების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია გაგრძელდა დაღამებამდის ხალხი მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩებს არ გაშორებია.

ყოველ კუთხეებში ისმოდა მარსელიოზას და სხვა და სხვა რევოლიუციონური სიმღერები. დილით კაზაკებს არ უხმარიათ არც თოფები და არც ცივი იარაღი, მხოლოთ მათრახებით ვარჯიშობდენ დემონსტრანტების ზურგზე.

დაბინდებისას კი, უკვე შემოვიდა ხმარებაში შაშხანა. ხშირათ ყურთან გაივლიდა ტყვიის ზუილი. ხალხმა თან და თან იწყო გასვლა ქალაქიდან და ღამის ცხრა ათ საათზე ქალაქს დაეტყო სიწყნარე. მეორე დღეს გამოირკვა, რომ იმ საღამოს ყაზახების ტყვიას ემსხვერპლა ორი ამხანაგი, ერთი ხელოსანი ხარაზი და მეორე ნოქარი ნემსაძე. აქვე ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ მათ გასვენების პროცესიას.

ამ ორი ამხანაგის გასვენება მოხდა სხვადასხვა დროს. ჩვენ ისინი გავაცილეთ თავიანთ სოფლებში. ხარაზი გავასვენეთ სოფელ მესხეთში. (ქუთაისიდან ოთხი ვერსის მანძილზე მდებარეობს). გასვენებას ხალხი ბლომათ დაესწრო. გასვენებას ქონდა დემონსტრატიული ხასიათი. ყოველ შეჩერების დროს სიტყვებით გამოდიოდენ ორატორები. ისინი აღნიშნავდენ მთავრობის ხულიგანურ საქციელს და მოუწოდებდენ ხალხს მეფის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. ასე ამ რიგათ განსვენებული მივაბარეთ საფლავს. პოლიციას ამ პროცესისათვის არ შეუშლია ხელი, თუმცა უკან მოგვყვებოდა კარაპეტა ტერ-ანტონოვი (პრისტავი) თავის ამალით. მაგრამ მეორე დღეს, ამხ. ნემსაძის გასვენების დროს კი, მოგვიწყვეს პროვოკაცია, რომელსაც მათდა საუბედუროთ, ხალხი არ წამოეგო. საქმე შემდეგში იყო: მიცვალებულს მივასვენებდით ბალახვანის ქუჩით ბაღდადში. პროცესია შედგებოდა სამი-ოთხი ათასი კაცისაგან. ბაღის თავთან დავიწყეთ „მსხვერპლით დაეცი“ და მარსელიოზა. თურმე ჩვენს უკან მოდიოდა ცნობილი ლორენტი მახარაძე სტრაჟნიკებით და როდესაც პროცესია შევიდა გამახვანის ქუჩის დასაწყისში ამ დროს უკანიდან მოგვესმა დაშნის ხმა. ხალხი შეკრთა, მაგრამ შემდეგ დაწყნარდენ. მახარაძე რა რომ დარწმუნდა, რომ ხალხი არ შეშინდა, მეორეთ სროლა არ განუმეორებია, მხოლოთ ნელი ნაბიჯით მოგვყვებოდა უკან. პროცესიამ განაგრძო წინსვლა და რევოლიუციონური სიმღერებით კახიანურის ბოლომდი მივაცილეთ, შემდეგ კი მიცვალებული წაიყვანა მშობლებმა, რომლებსაც თან გაყვა პარტიის მიერ დანიშნული დელეგაცია.



მიტინგი



დაღუპულ რევოლიუციონერის დასაფლავება.

ს. ლომიძე.

# შეისწავლე გრანატის ტყორცნა.

ხელით სატყორცნი გრანატის ხმარება უნდა შეეძლოს წითელი არმიის ყველა მეომრებს გამოუკლებლივ.

გრანატის ხმარების ცოდნა გამოიხატება იმაში, რომ უნდა იცოდე მისი აგებულობა, უნდა შეგეძლოს მისი გამზადება სასროლად, ტარება და ტყორცნა როგორც წესი და რიგია.

რომ შეისწავლოს გრანატის ტყორცნა როგორც წესი და რიგია, მთელი ზამთრის პერიოდში წითელ არმიელმა ჯერ უნდა ივარჯიშოს სასწავლო გრანატების ხელით ტყორცნაში. ზაფხულის პერიოდში კი მეცადინეობა უნდა გადავიდეს საბრძოლო გრანატების ტყორცნის შესწავლაზე.

ადგილიდან გრანატის გასატყორცნად ჯერ უნდა მოიხსნა და დასდო შაშხანა, შემდეგ უნდა გაამზადო გრანატა (მოსწიო ჭინჭილაქი ან გამოსწიო ურდული) და ძლიერ უნდა გასტყორცნო ის მიზნისკენ მარჯვენა ხელით. ამასთან გრანატის წინ წაღების დროს მთელი სხეულით უნდა დაეხმარო გაქანებას, რომ შორს გასტყორცნო ის.

გრანატა გატყორცნილ უნდა იქნას რაც შეიძლება მაღლა, რათა ის დაეცეს მი... მაღლიდან და არ დაგორდ...

სიარულში გრანატის ტყორცნის დროს უნდა ამოიდო შაშხანა მარცხენა იღლიაში უნდა გადაიგდო ის ღვედით ...რცხენა მხარზე, რომ ორი ხელი თავისუფალი გქონდეს.

შემდეგ უნდა მოიხსნა გრანატა, სასწრაფოდ უნდა გამოსწიო დამცავი, დააჭირო ბერკეტს და ძლიერ უნდა გასტყორცნო. წინ მოძრაობის დროს უნდა გასტყორცნო გრანატა ერთი მეორეზე და უნდა მისცე საშუალება მოპირდაპირეს გონს მოვიდეს. ხოლო როცა მოპირდაპირემდი მანძილი ძალიან შემცირდება, უნდა შესწყვიტო გრანატის ტყორცნა და მიიჭრა მტერზე ხიშტით.

ი.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## როგორ ეხმარებიან ჩვენი ნაწილები საშეფო სოფლებს.

კარგა ხანია მას შემდეგ რაც სოფ. ტეზერის შეფად ითვლება მეთაურთა სკოლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მრავალი შრომა დახარჯა სოფლისთვის და დიდი ღვაწლი დასდო მას ჩვენმა სკოლამ. ზაფხულის განმავლობაში მჭიდრო კავშირი გვქონდა ერთმანეთთან. სკოლიდან ხშირად გვიგზავნიდენ სოფელში მომხსენებლებს და გზავნიდენ სხვა და სხვა ხასიათის ლიტერატურას.

საბანაკო პერიოდის დასრულებისა და სკოლის დაცილების შემდეგაც არ გაუწყვეტიათ ამხანაგებს კავშირი ჩვენს სოფელთან. 22 დეკემბერს როგორც ყოველთვის ტეზერს ეწვია სკოლის წარმომადგენელი ამხ. ხუსკივაძე, რომელმაც მოგვიტანა სათანადო ლიტერატურა.

ამავე დღეს მოწვეული იქნა სოფლის საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ხუსკივაძემ გააკეთა მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის შესრულების შესახებ. ამხანაგმა ვრცლად გააცნო გლეხებს თუ რამ გამოიწვია ეს მოძრაობა, რა იყო მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამ დაამარცხა ის და როგორი გავლენა იქონია მან მუშათა მოძრაობის შემდეგ ეტაპზე.

მოხსენებას სიამოვნებით უსმენდა კრებაზე დამსწრე სოფლის მთელი გლეხობა.

დასასრულ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ რევოლიუციის გამარჯვებას ყოველ მხრივ შეუწყობენ ხელს, რაც უდიდესი პატივის ცემა იქნება 1905 წ. დაღუპულ რევოლიუციონერების ხსოვნისათვის.

ახკორი გ. გვარამაძე.

## გამოცოცხლდა მუშაობა.

ქარ. სამხ. პოლიტსკოლა.

ამ უკანასკნელ ხანებამდე მეცადინეობა სწარმოებდა ჩვენთან ლექციური სისტემით და ცოტა არ იყოს მუშაობა გვიძნელდებოდა. და გვქონდა შესაფერი სახელმძღვანელოები [illegible]ვა.

ამ ჟამად ზოგიერთი სახელმძღვანელოები უკვე შეიძინა სკოლამ და დაურიგდათ კურსანტებს. ამას გარდა შექმნილი იქნა აგრეთვე რუქები და საფუძვლიანათ დავიწყეთ მეცადინეობა.

უმცროსი ჯგუფის კურსანტები გაგვანაწილეს ორ ჯგუფად, ამან კიდევ უფრო გაგვიადვილა შრომა და საგნებსაც უფრო კარგად ვითვისებთ.

ამასთანავე ერთად უკანასკნელ ხანებში სკოლაში გაყვანილი იქნა ელექტრონის შუქი. ის დრო, რომელიც ტყვილა იკარგებოდა აქამდე უსინათლობის გამო, ეხლა გამოუდმებულ მეცადინეობასა, წიგნების კითხვას და საუბრების ჩატარებას [illegible]დება.

საერთოდ სკოლაში ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელად მუშაობა ყველა დარგებში.

სამხკორი მუშკუნა.

## პირველი ცდა

მე-2 არტლეგიონი

სამოსწავლო ბატარეის ლენ-კუთხეში პირველად მოეწყო ელექტრონის დაფა, (კითხვა-პასუხის). დაფა მოწყობილია [illegible] კითხვების და კამპანიების ჩასატარებლად.

27 დეკემბერს საღამოთი ჩატარებული იქმნა პირველად [illegible]დრო დარგიდან (შინაური სამსახურის წესდებები), რამაც მრავალ არმიელების ყურადღება მიიპყრო, დაფის უპირატესობა იმაშია რომ იგი აძლევს საშუალებას გავლილის გამეორებისას.

პირველი ცდას ლეგიონში დიდი შედეგები მოყვა. არმიელები მეტის მეტად დააინტერესა მან და ერთ[illegible] ეჯიბრებიან პასუხში.

მომავალში დარწმუნებული ვართ კითხვა ხასუხის ამ წესს უფრო გააუმჯობესებენ ჩვენს ნაწილში და მთელ არ[illegible]ა მასას ჩაითრევენ მასში.

სამხკორი ა. პაპოვი.

## ჩვენც მოვეწყვეთ.

2-რე ცალკე ცხენოსანი ესკადრონი.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენი ესკადრონი შესდგა, მაგრამ მისი ხელმძღვანელისა და სხვა მეთაურების ენერგიული მუშაობის მეოხებით ნაწილი თითქმის სრულიად ჩამოყალიბდა და გააცხოველა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ კულტურული ხასიათის მუშაობა. ყოველგვარი მეცადინეობა თავის დროზე სწარმოებს. წ. არმიელებიც ენერგიულად ეკიდებიან მუშაობას.

ამ ჟამად ნაწილი საკმაოდ კარგ შენობაშია მოთავსებული. სისუფთავის დაცვას უდიდესი ყურადღება ექცევა არმიელებისაგან.

არა ნაკლები მზრუნველობით ვეკიდებით ცხენებს. წითელ არმიელები მუდამ საჯინიბოში არიან და სწმენდენ, ასუფთავებენ მათ.

საერთოდ ესკადრონის საქმიანობა დამაკმაყოფილებელია ჯერ-ჯერობით, რაც იმედია შემდეგში უფრო განაყოფიერ[illegible].

წ. არმ. გით. ციმაკურიძე.

## 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავი ჩვენს ნაწილში.

2-ე საკავშირო ასეული.

აღნიშნული დღესასწაულის 20 წლის თავზე ასეულში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელშიდაც დაწვრილებით იყო გაშუქებული რევოლიუციის მნიშვნელობა და მისი დამარცხების მიზეზები.

გაზეთში აღნიშნულია აგრეთვე დეკაბრისტების 1825 წელში მოწყობილი რევოლიუციონური გამოსვლის შესახებ და ამ გამოსვლის როლი საზოგადოების გამოფხიზლებაში.

პოლიტსაუბრებსა და მეცადინეობაზე დაწვრილებით ეხებიან ხელმძღვანელები ამ ორ უდიდეს ისტორიულ მოვლენებს და აცნობდენ მათ წ. არმიელებს.

არც ჩვენს ნაწილებზე მოწერილი წვევამდელები ჩამორჩენილან ამ დღესასწაულის ჩატარებაში. 19 დეკემბერს მათივე თაოსნობით მოწყობილი იქნა საზეიმო საღამო, რომელზედაც ილაპარაკეს სამხკომმა და წვევამდელებმა.

დასასრულ დაიდგა რევოლიუციონური შინაარსის პიესა.

სამხკორი ვ. გორათელი.

## რევოლიუციის მუზეუმი.

თბილისში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც გმირმა ჯორჯიაშვილმა გამოასალმა წუთი სოფელს გენერალი გრიაზნოვი, გაიხსნა რევოლიუციის მუზეუმი.

მუზეუმში თავმოყრილია აურებელი მასალა რევოლიუციის წინა ხანების, თვით 1905 წლის რევოლიუციის, მენშევიკების ბატონობის და შემდეგი რდოის.

მუზეუმში გამოფენილია სურათები, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის რევოლიუციონერების.

საყურადღებოა მასალები, რომლებიც ეხებიან გლეხთა მოძრაობას სამეგრელოში და გურიაში.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე „მენშევიკთა ოთახი", სადაც დაგროვილია მასალა, რომელიც ნათელ-ჰყოფს მენშევიკების დამოკიდებულებას დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან და მათ კარნახით მუშაობას. დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს „ლენინის ოთახი".

რევოლიუციის მუზეუმი საუკეთესო აჩუქარია თბილისისთვის და საქართველოს 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავზე. იგი იძლევა ნათელ წარმოდგენას რევოლიუციონერთა თავდადებულ ბრძოლებზე, როგორც მეფის, ისე მენშევიკების დროს. ჩვენი ჯარის ნაწილებმა უნდა ფართედ გამოიყენონ მუზეუმი. მუზეუმი დიდ დახმარებას გაუწევს ლექტორპოლიტხელებს პარტიის ისტორიის გავლის დროს წითელ არმიელებთან.

კარგი იქნება, რომ ჩვენი მეთაურნიც ეწვეოდნენ მუზეუმს, იგი მათაც მოუტანს სარგებლობას.

ი—ა.

## რედკოლეგია მოისუსტებს.

ცხენ. ლეგიონი.

დიდი ხანი მოუნდა ლეგ. პირველი ესკადრონის კედლის გაზეთის რედკოლეგია, კედლის გაზეთის პირველი ნომრის გამოშვებას, როგორც იქნა მოვესწარით ამასაც, გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი, მაგრამ სამწუხაროთ ის ვერ არის შესრულებული ისე როგორც საჭიროა.

გაზეთში არ არის კარიკატურები, საოხუნჯო ნაწყვეტები და სხვა, რაც მეტის-მეტად მშრალ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველებზე.

ეს ნაკლიც ასატანი იყო გაზეთში, მაგრამ სამწუხაროდ აღარც მისი ღირსი გავრდით. რედკოლეგია აღარ ზრუნავს შემდეგში ნომრების გამოშვებისათვის, მასალებს არავინ კრებს.

საჭირო ვიცოდეთ რას აპირებს რედკოლეგია? დროა ამოძრავდეს და შეთანხმებული მუშაობით დააჩქარონ გაზეთის გამოშვების საქმე და შეეცადონ მისი შინაარსით გაუმჯობესებასაც.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## საბიბლიოთეკო მუშაობა ჩვენთან.

მე-6 ტერლეგ. მე 8 ასეული.

3 დეკემბერს ჩვენს ასეულში ჩამოყალიბებულ იქნა ბიბლიოთეკა, რომელშიდაც ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა. ბიბლიოთეკას არ მოეპოებოდა საკმარისი წიგნები, რომელიც ხელმისაწდომი იქნებოდა წითელ არმიელებისა და წვევამდელებისათვის. ამისათვის დაუკავშირდით ადგილობრივ ქოხსამკითხველოს, საიდანაც მივიღეთ დროებით სახმარებლად 46 წიგნი, სხვა და სხვა შინაარსის, რომლის გაცემაც სწარმოებს წვევამდელებზე. ბიბლიოთეკაში სულ 90 წიგნია, ბიბლიოთეკის გაუმჯობესებისათვის და მკითხველთა მიზიდვის მიზნით სწარმოებს ლენკუთხეში განცხადების გამოკვრა, თუ რომელი წიგნი უნდა წაიკითხონ მკითხველებმა.

ბიბლიოთეკაში სწარმოებს გაზეთების და წიგნების ხმა მაღალი კითხვა. ბიბგამგე ცდილობს რაც შეიძლება ძლიერ დაინტერესოს მკითხველები. ამ სათვის ბიბლიოთეკაში სწარმოებს შესამჩნევი ადგილების ამოჭრა გაზეთებიდან და გაკვრა ახალამბების დაფაზე. რომ წიგნის მკითხველებისათვის ადვილი შესაძლებელი ყოფილიყო თავიანთ შესაფერი წიგნის მონახვა, გამოკიდებულ იქნა წიგნების კატალოგი. რაც შეეხება სცენობო მუშაობას, ესეც მიმდინარეობს კარგათ. და ამის საწარმოებლათ შემოღებულია კითხვა პასუხის დაფა, რვეული და დაფა უცხო სიტყვების ასახსნელათ.

მუშაობაში ხელს გვიშლის ერთი გარემოება; არ გვაქვს წიგნების შკაფი, მაგიდები და სხვა. მაგრამ ეს ნაკლიც მალე გამოსწორდება, ვინაიდან ამ დღეებში შესდგება დამხმარე საბჭოს სხდომა. იმედი გვაქვს აღმოგვიჩენენ სათანადო მატერიალურ დახმარებას, საბიბლიოთეკო მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად.

ბიბ. გამ. გ. ფოცხიშვილი

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

1-ლი ლეგ. მე-8 ასეული.

21 დეკემბერს შესდგა მე-8 ასეულის კომუჯრედის კრება, რომელსაც დაესწრენ ასეულის უფ პოლიტ-შემადგენლობა და წითელარმიელები.

მოსმენილი იქნა მოხსენება ცნობათა ბიუროს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა სხვა და სხვა მიღწევებთან ერთად ბიუროს საქმიანობაში აღნიშნა ისიც თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა ბიურო წითელარმიელთა სხვა და სხვა თხოვნებს, საჩივრებს და სხვა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ რომელიმე წითელარმიელისათვის უარი გვეთქვასო. ყველა მათ დიდ ყურადღებას აქცევდა ლეგიონის საკავშირო კომისია.

ამხანაგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საკავშირო კომისიის მიმართვები ყოველთვის შესაფერ გამოხმაურებას პოულობდენ ადგილებზეო.

კრებამ ცნობათა ბიუროს მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნო, მაგრამ მაინც მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მათ არ უწარმოებიათ წითელარმიელთა საჩივრების და მათი ხასიათის აღრიცხვა, რაც აუცილებლად შესრულებული უნდა იქნეს მომავალში.

არჩეული იქნა ახალი ცნობათა ბიურო, რის შემდეგ კრებას გაეცნო აგრეთვე რემედასის მნიშვნელობა და მოუწოდეს ამხანაგებს ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად, რასაც ერთსულოვნად შეეგებენ ყველა ამხანაგები.

განხილული იქნა აგრეთვე ასეულის სარედაქციო კოლეგიის მუშაობა, რომელიც ცნობილი იქნა არა დამაკმაყოფილებლად და მოხდა მისი გადარჩევა.

სამხკორი ვ. იმერელი.

## ქართ. სამხ. პოლიტ-სკოლა.

ნას შემდეგ, რაც ჩვენი უჯრედი მიეკედლა მეორე რაიკომს, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ვღებულობთ მათგან ყოველივე ცირკულიარებს და ვესწრებით ხშირად საარაიონო კრებებს.

ჩვენი უჯრედის წევრები ყველა აქტივისტებია და ყოველ მორიგ კრებაზე მოხსენებებს თვითონ ივალებენ.

ჩვენს უჯრედს კარგი კავშირი აქვს მეთაურთა სკოლასთან. მათი წარმომადგენლები ესწრებიან ჩვენს კრებებს და ჩვენი მათსას. ამას წინათ ჩატარდა მოხსენება რუსეთის ახ. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის შესახებ, რომელმაც კრება ძლიერ დააინტერესა და გაკვეთილად დარჩა თითეულ კომკავშირელის გულში.

ახლოხანში მოხდა ბიუროს გადახალისება. უჯრედის მდივნის მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ კრებამ დამაკმაყოფილებლათ ჩასთვალა, რის შემდეგ იქნა არჩეული ახალი ბიუროს შემადგენლობა. იმედია რომ ახალი ბიუროს შემადგენლობა უფრო გააცხოველებს უჯრედის მუშაობას.

პირველი იანვრიდან ჩვენი სკოლის კურსანტების ნაწილი მიდიან ორი კვირის შვებულებით სოფლებში, რომლებსაც ეს დიდ მოვალეობას აკისრებს სოფლათ მუშაობის საკითხებში. იმედია ამხანაგი კურსანტები თავიანთ შვებულებას გამოიყენებენ სათანადოდ.

კურსანტი ცქიფურიშვილი.

## ჩვენი საქმიანობა

მე-2 საარტილერიო ლეგიონ. მე-2 ბატარეია.

ს. დიდი-ჯიხაიშის წერტი.

ჩვენს წერტზე წვევამდელთა რიცხვი 55 კაცამდე აღწევს. მეცადინეობა თავის დროზე დაიწყო და მიმდინარეობს სისტემატიურად და სრულიად შეუფერხებლად.

წერტზე მოვაწყვეთ, ლენინის კუთხე, სადაც საკმაო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მოგვიპოვება.

ჩამოვაყალიბეთ, ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელშიდაც 15-დის წევრი ითვლება.

გამოვყავით აგრეთვე სარედაქციო კოლეგია, 5 ამხანაგისაგან შემდგარი, რომელმაც უკვე გამოუშვა კედლის გაზეთი, „წვევამდელ-არტილერისტის" სახელწოდებით. გაზეთში გაშუქებულია ფართოდ საყურადღებო—საჭირ-ბოროტო საკითხები. წვევამდელთა ყოფა-ცხოვრება და ჩვენი ნაკლულევანებანი. აღსანიშნავია, ისიც რომ, ჩვენი წვევამდელები, დიდი ზეიმით შეხვდნენ 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავს.

კომ-კავშირთან, და უპარტიო ახალ-გაზრდობასთან ერთად—20-და-21 დეკემბერს ჩატარებული იქნა კამპანია.

წვევამდელი შ. ჭადრისძირელი

## სამხკორის კუთხე

### დიდი ყურადღება მიაქციე კორესპონდენციების შედეგებს.

სამხკორი ხშირად გვიგზავნის ჩვენ კორესპონდენციას თავიანთი ნაწილის რომელიმე ნაკლის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვბეჭდავთ ან არა ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში. ავიღოთ შემთხვევა, როცა მიღებულ ასეთ კორესპონდენციას ჩვენ ვბეჭდავთ გაზეთის ფურცლებზე.

მართალია ხშირად ასეთი კორესპონდენციებით დაინტერესდებიან სამხედრო პროკურორი და ნაწილის უფროსები და თავიანთი მხრით მოგვცემენ ახსნა-განმარტებას გაზეთის საშუალებით ამის შესახებ, როგორც ჩვენ, ისე სამხკორს.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მრავალი კორესპონდენცია იბეჭდება ჩვენს გაზეთში რაიმე ნაკლის შესახებ და რედაქციამ არ იცის გამოსწორდა თუ არა კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლი. არ უნდა დავივიწყოთ რომ ასეთ კორესპონდენციას მაშინ აქვს ღირებულება, როცა ის მიაღწევს თავის მიზანს. მხოლოდ ყოველივე ამას თვალყური უნდა ადევნოს კორესპონდენციის დამწერმა.

სამხკორის მუშაობა მარტო იმით კი არ უნდა თავდებოდეს, რომ დასწეროს კორესპონდენცია და შემდეგ ყურადღება აღარ მიაქციოს კორესპონდენციის შედეგს. სამხკორის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს წითელი არმიის განმტკიცება-გამაგრებას, ამ მიზნით ის სწერს გაზეთში რაიმე ნაკლის შესახებ. ყოველი სამხკორი უნდა ეცადოს, რომ როცა დაიწერება მისი კორესპონდენცია გაზეთში, მიაქციოს მას მთავარი ყურადღება და საქმე მიიყვანოს ბოლომდე.

ვსთქვათ სამხკორმა დასწერა კორესპონდენცია, რომ მის ნაწილში არ არის მოწყობილი სასადილოს შენობა. დაიბეჭდა თუ არა კორესპონდენცია სამხკორმა უნდა ადევნოს თვალყური, თუ რა გავლენა მოახდინა ამ კორესპონდენციამ აქ მითითებულ რომელიმე ორგანოს ან პირზე, რა ზომები მიიღეს ნაკლის გამოსასწორებლად, გამოასწორეს ნაკლი თუ არა და სხ. ამის შემდეგ ყოველივე ამაზე სამხკორმა კვლავ უნდა დასწეროს კორესპონდენცია გაზეთში.

სამხკორის მუშაობა მარტო

მი.

## საერთო ძალით მოვაგვარეთ ყველა სიძნელეები.

### მე-4 ლეგიონის ქვა ციხის წერტი.

სულ მოკლე ხანია რაც მივიღეთ ბრძანება ლეგიონიდან, მე-5 ასეულმა, რომ გავეხსნა მეორე წერტი ს. ქვაციხეში. ბრძანების მიღებისთანავე, იქნა გამოყოფილი ორი მეთაური. ქვაციხის წერტზედ წვევამდელებთან მეცადინეობა დავიწყეთ 13 დეკემბერს. მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად. აღრიცხვაზე აყვანილია 80 კაცი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ამხანაგები დადიან 15 ვერსის მანძილიდან და ეს ძლიერ აფერხებს მუშაობას. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატმა მოგვცა თანხა საწოლების მოსაწყობათ შორიდან მოსიარულე წვევამდელებისათვის.

ამ თანხით მოწყობილ იქნა საწოლები და ეხლა უკვე საშუალება გვაქვს დავტოვოთ ჩვენთან წერტზედ შორის მანძილიდან მოსული წვევამდელები.

გარდა ამისა ამხანაგები, რომლებიც რჩებიან ღამ-ღამობით ჩვენთან, ადგილობრივი თემების დახმარებით არიან დაკმაყოფილებული სურსათით. ასეთი ხელის შეწყობით ეს ამხანაგები თავის დროზე ესწრებიან მეცადინეობას და მეცადინეობაც ტარდება კარგათ.

წერტზე მოწყობილია სამხედრო—სამეცნიერო კუთხე, რომლის მუშაობაში დიდ ინტერესს იჩენენ წვევამდელები.

ა. ხიტ რია.

## კითხვა-პასუხი

— ჩვენში დიდი სირცხვილი რომელია ყველაზე?

— ვინც არ ფიქრობს, საყვარელ ჩვენს გაზეთის შველაზე.

## ამბები სოფლებიდან.

**სქოლა სოფლათ.** სოფ. ელორში (სენ. მაზრა) შვიდ წლიანი სკოლის სამშენებლო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სახ. გან. კომისარიატის წინაშე დახმარების გაცემის შესახებ.

**დუშეთის სამაზრო** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათ. კომ. წინაშე 50 მოწაფე ქალის და 50 მოწაფე ვაჟის სახელმწიფო ხარჯზე მიღების შესახებ.

**დ ხმარება დასახიჩრებულებს.** ქუთაისის აღმასკომი ყოველთვიურათ ეხმარება 58 შრომის და 82 ომის ინვალიდს.

**ელსადგური სიღნაღში.** სიღნაღის აღმასკომი ახლო ხანში შეუდგება ადგილობრივ ელსადგურის გაფართოებას.

ნ. დ. ს. ც.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს" ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მე-2 დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის უნცროს მეთაურებს: ამხ. ამხ. ტკაპლაძეს, ბალავაძეს, სიხარულიძეს და ცალკე საკავშირო ასეულის უნცროს მეთაურებს: ყუჩიშვილს, კიკნაძეს და ფირადოვს.

უნცროს მეთაური ბერუჩაშვილი.

—

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს" სამი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მე-2 დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის უფროს-სადმ-მედშემადგენლობას ოჩიგავას, ლომთაძეს, შავლიას, ღვინჯილიას, ხვადაგიანს და გოგაძეს და ცალკე საკავშირო ასეულის უფროს ემანიძეს და სამხედრო ჩხაკეშვილს.

დრ. მე-2 დივიზიის ინჟენერი ჟუზანიშვილი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ზღვაში ჩაძირული ოქროს საძებრად.**

ამას წინად საფრანგეთის მთავრობამ მიიწვია გერმანელი მყვინთავები („ვოდოლაზი") საფრანგეთის სანაპიროებთან ჩაძირულ გემ—„ეგვიპტეზე" სამუშაოთ, რომელზედაც იმყოფება 10 მილიონი ოქრო.

მყინთავების მუშაობის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ზღვის სიღრმე ამ ადგილას უდრის 360 მეტრს, ხოლო აქამდე მყვინთავებს მუშაობა შეეძლოთ ეწარმოებიათ მხოლოდ 60-100 მეტრის სიმაღლემდე. წყალში ჩაშვება იწარმოებს ახალი გაუმჯობესებული ტიპის საყვინთაო აპარატებით. მუშაობის ხელფასად, მყვინთავები მიიღებენ ამოღებულ სიმდიდრის ნაწილს.

**ღელიუმის მოპოვება ჰაერიდან.**

ინგლისური სჟანგბადო (ჟანგბადი ჰაერის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს წვასა და სუნთქვას) საზოგადოებამ გამოაქვეყნა ცნობები ღელიუმის (სეც ჰაერის შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსხვავდება თავისი სიმსუბუქით) ჰაერიდან მოპოების ახალი წესების შესახებ. ეს წესი მდგომარეობს ჰაერის მის შემადგენელ ხუთ ნაწილად დაშლაში: აზოტი, ჟანგბადი, არგონი, ჰეონი და ღელიუმი.

უკანასკნელი მიიღება თითქმის სუფთა სახით. შეიცავს მხოლოდ 5 პროც სხვადასხვა გაზების ნარევს. 1.185.000 მოცულობის ჰაერიდან გამოაქვთ ერთი მოცულობა ღელიუმი. ამ უკანასკნელის ერთი ლიტრი ჯდება ერთი სტერლინგი (ერთ თუმნამდე).

ეს გაზი იმით არის საყურადღებო, რომ იხმარება დიდი დირიჟაბლებისათვის, როგორც მსუბუქი გაზი. აქამდე მას პოულობდენ მიწის ნიადაგში შემავალ ნაწილებთან.

ახალი წესით ამ გაზის მოპოება ძლიერ ძვირი ჯდება. მაგალითისათვის, ამერიკულ ერთ დირიჟაბლის „ლოს-ანჟელოს" გასავსებათ საჭირო იქნება 300 მილიონის ღელიუმი რაც მიუღებელია. კიდევ ბევრი დრო იქნება საჭირო, რომ ასეთი წესით მოპოებული ღელიუმით შეიძლებოდეს დირიჟაბლების დატენა.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ნ. გარსევანიშვილს.** თქვენ ბინის ქირად უნდა იხადოთ თითოულ კვ. არშ. $5^1/_2$ კ. (ჯამ გირს ღებულობთ 63 მან.), სულ 100 კვ. არშ.$\times 5^1/_2$ კ.$=$5 მან. 50 კ., ამას უნდა მოაკლდეს 25%, როგორც სამხედრო, ე. ი. თქვენ ბინის ქირად იხდით თვეში 4 მან. 13 კაპ. (სახ. კომ. საბჭოს დადგენილება 1 მარტ. 1925 წ.).

**ა. ხიტარიას.** საჰაერო ფლოტის სკოლაში რომ შეხვიდეთ, ამისათვის საჭიროა თქვენი უფროსის მიერ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა.

**ჭუმბურიძეს.** რევოლვერის ტარებისთვის განსაკუთრებული ნებართვა უნდა აიღოთ შინაგან საქმეთა კომისარიატიდან.

**ბიორგიშვილს.** უმცროს გადამწერს არ ეკუთვნის არც ერთი სამკუთხედი.

**გ. სტურუას.** განსაზღვრულ ჯამაგირზე მყოფ მუზიკანტებისთვისაც სავალდებულოა მორიგეობა მუსიკალურ გუნდში.

**გ. აზ—ძეს.** თქვენ უსათუოდ ჯამაგირს იღებთ თანამდებობის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში მიმართედ საკითხის გამოსარკვევად ლეგ. სამნეო ნაწილს.

**ნ. კევლიშვილს.** დახმარებისათვის მიმართედ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს.

**გაჩეჩილაძეს.** ტერნაწილებში მსახურთ საერთო წესით ეძლევათ საექიმო დახმარება. მიმართედ ლეგ. ექიმს.

**გურგენიძეს.** უმცროსი მეთაური მუდამ სათანადო ფორმაში უნდა იყოს გამოწყობილი.

**მახვე.** ასეულის მამასახლისს ეკუთვნის მორიგ ზემდეგათ გასვლა.

**ე—რი.** მიმართედ ნაწილის უფროსს ჯილდოს შესახებ.

## ჩვენი სამხკორების საყურადღებოდ.

1 ლეგ. ამხ. ამხ. ს. იმნაიშვილს, ჩაგელიშვილს, დეისაძეს, მინდიაშვილს, შ. თელიას, მ.ოდიშარიას, (2-ე ლეგ). ღვინიაშვილს, ბობოხიძეს, (3-ე ლეგ). ქჯადუას, კენჭაძეს, გოცირიძეს, (4-ე ლეგ). მელიქიას, იმერლიშვილს, ლ, ჭელიძეს და ბადათურიას, (5-ე ლეგ). დევაძეს, ოგანოვს და ნოზაძეს,(6-ე ლეგ.) ჭანკვეტაძეს, ლომაძეს და სხვას, (1-ლი არტლეგ.) ბარათაშვილს, არველაძეს, ნიჟარაძეს, და ოყროშიძეს, (2-ე არტლეგ.) —გაბუნიას და სხვას. ცხენოსანი ლეგიონის სამხკორებს, (მეთაურთა სკოლა) ს. ჭეჭინაძეს,გაგუას, (პოლიტსკოლიდან) ჩიტიაშვილს, თავართქილაძეს; (მესანგრე ასეულებიდან) ვ.ვეფხვაძეს, ლ. გ[illegible]ძეს, —([illegible] შიროკებიდან) ში. კოჩლამაზაშვილს, ს. მონიავას და სხვას ყველა მათ, ვინც სისტემატიურად თანამშრომლობდენ ჩვენს გაზეთში რამოდენიმე წლის განმავლობაში (უვადო შვებულებაში წასული არმიელებსა და სამხკორებსაც) გაზ. წითელ არმიელის" რედაქცია სთხოვს, 8 იანვრისათვის—გაზეთის მეათასე ნომრისათვის გადმოგვიგზავნონ თავიანთი სურათები, წერილებით: მოგონებები, შთაბეჭდილებები გაზეთში თანამშრომლობის დროს და სხვა მსგავსი მასალები.

გაზ. „წითელ არმიელი"-ს რედაქცია.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ: 1) ლეონიდე ალექსანდრესძე ბურჯანაძეს, (ქუთაისის მაზრიდან სოფ. ნაგარევი გლეხი დაბალი განათლებით). 2) პავლე მათესძე ჯაფარიძეს (მორაპნის მაზრიდან სოფ. ტაბაკინი. გლეხი, დაბალი განათლებით). ხსენებული ამხანაგები ორივე პარტკანდიდატებია. 3) მიქიაშვილი იასონ თედოგისძე (ა. ლ. კ. კ. წევრი 1924 წლიდან გლეხი განათლებით დაბალი, რაჭის მაზრიდან სოფ. ზნაკვა) 4) ყვაველაშვილი მიხეილ ნესტორის-ძეს (გლეხი განათლება საშუალო ქ. ქუთაისიდან). ორი უკანასკნელი უნდა გადაირიცხონ პარტ. კანდიდატებათ. აღნიშნულ ამხანაგების მიმართ თუ ვისმეს მოეპოება რაიმე საწინააღდეგო ცნობები გთხოვთ გვაცნობოთ 1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი შ. კვინიკაძე.


ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ-"ს

გაავრცელე გაზ. „წითელი არმიელი" გამოიწერე



რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

3 თვით — 1 მ. 35 კ.

6 თვით — 2 მ. 50 კ.

12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

3 თვით — 1 მ. 10 კ.

6 თვით — 2 მ.

12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩინჩალაძე